შპს „ფუელ ინვესტმენტ"-ის

დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგურის მოწყობისა და ექსპლოატაციაში გაშვების სკრინინგის ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში, შპს „გურია ინვესტ ჯგუფის"-ს კუთვნილ ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე, (საკადასტრო კოდი 26.13.23.006), არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე შპს „ფუელ ინვესტმენტ"-ის (ს/კოდი 405490838) მიერ იგეგმება დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგურის მონტაჟი და ექსპლოატაციაში გაშვება.

აღნიშნული ტერიტორია 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „გურია ინვესტ ჯგუფი"-მა იჯარის უფლებებით გადასცა შპს „სამი ძმა"-ს (ს/კოდი 437072383), ხოლო 2022 წლის 27 იანვარს იგივე ტერიტორია შპს „სამი ძმა"-მ ასევე იჯარით მიაკუთვნა შპს „ფუელ ინვესტმენტ"-ის (იჯარის ხელშეკრულებები თანდართულია), რომელმაც დაგეგმა დიზელის საწვავის სარეალიზაციო სადგურის მონტაჟი და ექსპლოატაციაში გაშვება.

საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის აღნიშნულ მისამართზე (GPS კოორდინატები: X-252582,14 ; Y-4647674,95) შპს „გურია ინვესტ ჯგუფი"-ს კუთვნილი 32056 m^2 ფართობიდან შპს „ფუელ ინვესტმენტ"-ს გადაეცა 100m^2 თავისუფალი ტერიტორია, რომელზედაც განთავსდება დიზელის საწვავით ავტოტრანსპორტის გასამართი სადგური და მისი დანიშნულება იქნება მხოლოდ დიზელის საწვავის მიღება, შენახვა და სხვადასხვა საწარმოების (გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად) კუთვნილი ავტოთვითმცლელების დიზელის საწვავით გამართვა.

საპროექტო ტერიტორიაზე, მიწისზემოდან განთავსდება დიზელის საწვავის შესანახი 1 საცავი, მოცულობით 25000 ლიტრი და 1 ჩამოსასხმელი დგარი, აღჭურვილი 1 ჩასასხმელი ხორთუმით.

საცავი დაფარული იქნება სპეციალური ანტიკოროზიული საღებავით და ის აღჭურვილი იქნება ლითონის, 3 მეტრი სიმაღლისა და 0,04 მეტრი დიამეტრის სასუნთქი მილით.

გამომდინარე იქედან, რომ საწვავის შესანახი საცავის განთავსდება დაგეგმილია მიწისზემოთ, მასზე გარემო ფაქტორების (მზის სხივები, ტემპერატურა, და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით დაგეგმილია საცავის განთავსების ტერიტორია გადაიხუროს შესაბამისი სამშენებლო მასალით. ასევე მოხდება საცავის ირგვლივ 0,8 მეტრის სიმაღლის სპეციალური ნავთობშემკრები კედლის (ბარიერი) მშენებლობა, რაც გამორიცხავს საცავიდან ავარიულად დაღვრილი საწვავის ტერიტორიაზე მოხვედრას.

საწვავის საწარმოში შემოტანა მოხდება სპეციალური საწვამზიდის (ავტოცისტერნა) მეშვეობით და ტუმბოთ გადაიქაჩება საცავში. საცავიდან საწვავი მიწისქვეშ განთავსებული ლითონის მილით (დიამეტრი 0,04 მ), ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება ჩამოსასხმელ დგარს, აღჭურვილს 1 ჩასასხმელი ხორთუმით, რომელზედაც მიერთებულია ე.წ პისტოლეტი, რომლის მეშვეობით მოხდება საწვავის ჩასხმა ავტოტრანსპორტის საწვავის ავზში (ბაკში).

არსებული წარმადობიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგური, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საშუალოდ წელიწადში რეალიზაციას გაუკეთებს 0,2 მილიონ ლიტრ დიზელის საწვავს.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული 2 ჰაერდამაბინძურებელი წყაროდან, რომელთა შორის 1 (ორგანიზებული), დიზელის საწვავის შესანახი საცავია და 1 (არაორგანიზებული), ჩამოსასხმელი დგარი. მავნე ნივთიერებათა სახეობებია ნახშირწყალბადები, რომლებიც გამოიყოფა საწვავის შესანახი საცავიდან, მასზე არსებული სასუნთქი მილის მეშვეობით და ჩასასხმელი დგარიდან, ავტოტრანსპორტის გამართვის პროცესში. ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციისაას, ამ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა და თანახმად საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №435 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში ფაქტობრივი გაფრქვევების რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", დანართი 98, „ავტოგასამართი სადგურები", საწარმოს ფუნქციონირების დროს ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები) რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$G_{დ.ს.} = V_{დ.ს.} \times K_{დ.ს.}$$

სადაც: $V_{დ.ს.}$–რეალიზებული დიზელის საწვავის რაოდენობა წელიწადში.

$K_{დ.ს}$ – მავნე ნივთიერებათა ხვედრითი მაჩვენებელი,

მიღებულია $K_{დ.ს} = 0,0025$ გრამ ნახშირწყალბადებს (ჯამურად)

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G_{ნ.წ.(დიზ)} = (200000_{ლტ} \times 0,0025_{გრ})/10^6 = 0,0005 \text{ ტ/წ};$$

გამომდინარე იქედან, რომ ავტოგასამართი სადგურის მუშაობა წელიწადში დაგეგმილია 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი, შესაბამისად:

$$M_{ნ.წ.(დიზ)} = (0,0005 \times 10^6)/(24 \times 365 \times 3600) = 0,000016 \text{ გრ/წ}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები იმდენად მცირეა, რომ ძირითადად ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე იქნება ლოკალიზებული და იშვიათად, ან/და საერთოდ არ მოხდება მათი ობიექტის ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გავრცელების ფაქტები. რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობდამჭერ სალექარს, აქ გაგრქვევები არ იანგარიშება იმდენად, რამდენადაც სალექარი იქნება დახურული.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია ასევე მოეწყოს მცირე ზომის კაპიტალური შენობა-ნაგებობები, მათ შორის: საოპერატორო და სანიტარულ-ჰიგიენური კუთხე, საყარაულო. დაგეგმილია ასევე ობიექტის ტერიტორიის მოასფალტება და კეთილმოწყობა. რაც შეეხება საწვავის გასაცემ ტერიტორიაზე არსებულ ჩასასხმელ დგარს (სვეტი), ის განთავსდება დახურულ ფარდულის ტიპის შენობაში, ხოლო საწვავის გასაცემი დგარის (სვეტი) გარე პერიმეტრზე გათვალისწინებულია დაღვრილი საწვავის შემკრები არხების მოწყობა, რომელიც დაერთებული იქნება გამწმენდ-სალექართან. ამით აცილებული იქნება ნავთობპროდუქტით დაბინძურებული წყლების გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება.

ობიექტის წყალმომარაგება მოხდება შპს „გურია ინვესტ ჯგუფის"-ს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული საწყლოსნო მაგისტრალიდან. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ შამბოში (საასენიზაციო ორმო), საიდანაც დაგროვილი მასა რეგულარულად გაიტანება შესაბამისი სამსახურის მიერ არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიის მონარეცხი წყლებს, რომლებიც პირობითად დაბინძურებული იქნება ნავთობპროდუქტებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი"-ს მოთხოვნებების შესრულებისა და ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ობიექტის პროფილის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხისადმი დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე დამოტაჟდება ორსაფეხურიანი გამწმენდი ნაგებობა წარმადობით 2,0 ლ/წმ.

გამწმენდი ნაგებობა ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების ორსაფეხუროვან გაწმენდას. რომლის მუშაობის პრინციპი მარტივია და დაფუძნებულია წყლის, მყარი ნივთიერებების (შეწონილი ნაწილაკები) და ნავთობპროდუქტების ხვედრით წონათა სხვაობაზე: მყარი ნივთიერებები (შეწონილი ნაწილაკები) ილექება, ხოლო

ნავთობპროდუქტები ამოტივტივდება.

საწარმოს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10\cdot F\cdot H\cdot K$$

სადაც:

Q – სანიაღვრე წყლების მოცულობაა, მ³/წელ;

F – საპროექტო ტერიტორიის ფართობია, ჰა; (F=0,01)

H- ნალექების საშუალოწლიური რაოდენობა, (Hმმ); (H=2168)

K-წყალშემკრები ზედაპირის კოეფიციენტია, მყარი საფარისათვის K=0,23

გამომდინარე აქედან:

$$Q = 10 * 0,01 * 2168* 0,23 = 49,8 \approx 50 \text{ მ}^3/\text{წელ};$$

წყალი სალექარის გავლის შემდეგ, გაწმენდილი ჩაიშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ ბუნებრივ სადრენაჟო არხში, რომელიც საწარმოს ტერიტორიიდან 37 მეტრითაა დაშორებული, არხის გავლით შემდგომ სანიაღვრე ჩამდინარე წყალი ჩაედინება მდინარე ნატანებში, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 400 მეტრის დაშორებით გაედინება. (სურ.2 თანდართულია)

საწარმოს განთავსება დაგეგმილია ქალაქ ოზურგეთის ერთ-ერთ გარეუბანში, სოფელ მელექედურის მიმდებარედ შპს „გურია ინვესტ ჯგუფის"-ს კუთვნილ სამრეწველო ტერიტორიაზე, ოზურგეთი-მელექედურის ავტომაგისტრალის მე-10 კილომეტრზე, ავტომაგისტრალიდან 290 მეტრის დაშორებით. უახლოესი საცხოვრებელი სახლი 220 მეტრითაა დაშორებული, ხოლო მანძილი შპს „გურია ინვესტ ჯგუფის"-ს კუთვნილ ქვისსამტვრევი საწარმომდე 160 მეტრია. (სურ.1 თანდართულია).

გამომდინარე იქედან, რომ მსგავსი სახის ობიექტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 2000 მეტრით და ასევე საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართი სადგურის პროექტირების პროცესში, მიწის სამუშაოების წარმოებისას, ნაყოფიერი ფენის მოხსნა არ მოხდება, იმდენად, რამდენადაც საპროექტო ტერიტორია მოშანდაგებულია და იგეგმება ტერიტორიის მოასფალტება.

მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი იღებს ვალდებულებას „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ცხოველთა სახეობები არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორიიდან 70-80 მეტრის დაშორებით არის მოსახლეობის კუთვნილი მწვანე ნარგავები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე ასევე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება და გამოყენება. ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ ავტოტრანსპორტით, საწვავის შემოტანისა და ავტომობილების გამართვის დროს. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის გარეუბანში გამავალ ავტომაგისტრალიდან 290 მეტრის დაშორებით, ობიექტზე ავტომობილების გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ამისა ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. ამასთან, ერთად საწარმოს სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური აღიჭურვება სახანძრო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო დაფით, თანახმად „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ", ტექნიკური რეგლამენტისა, რაც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას. ტერიტორიაზე ასევე დამონტაჟდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და საწვავის გასაცემ სვეტს, ხოლო საწვავის მიღებისას ავტოცისტერნა დაერთდება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. დამიწებული იქნება ასევე საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა და საწვავის რეზერვუარი.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 1 მარტის დეკრეტის, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID19) გავრცელების თავიდან აცილებისა და პანდემიის პრევენციის განხორციელების მიზნით, საწარმოს ექსპლოატაციის დროს ობიექტზე დასაქმებულ პერსონალს სამუშაოს დაწყების წინ გაუკონტროლდება ჯამრთელობის მდგომარეობა (ტემპერატურის გაზომვით ან გამოკითხვით) და მონაცემები შეტანილი იქნება სპეციალურ ჟურნალებში, სათანადო ზომების გატარების მიზნით. იმავდროულად, ავტოგასამართ სადგურში დასაქმებულები აღიჭურვებიან სათანადო სადეზინფექციო ინვენტარით, სხვადასხვა სახის სტიკერებით და განცხადებებით, დაკავშირებული კორონა ვირუსის მიმდინარეობაზე და მის პრევენციაზე.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ადგილი ექნება გარკვეული რაოდენობის როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სახიფათო ნარჩენების სახეობები იქნება: ნავთობდამჭერის ნალექი (კოდი-130503*), რომლის წლიური რაოდენობა სავარაუდოდ 50-60 კილოგრამი იქნება, დაღვრილი ნავთობი (კოდი-050105*), წლიური რაოდებობა 20-25 კილოგრამი იქნება.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება როგორც არასახიფათო, საყოფაცხოვრებო, ასევე სახიფათო ნარჩენები. ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში, რომლებსაც ექნება სათანადო წარწერები, სტიკერები. მუნიციპალური ნარჩენის ტერიტორიიდან გატანა მოხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, მათ შორის ნავთობით დაბინძურებული ტანისამოსი, აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა, მათი დროებითი შენახვა მოხდება სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში და შემდგომი დამუშავება/განადგურების მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ხოლო რაც შეეხება სალექარში დაგროვილ ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ მასას, მისი შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში და შემდგომი დამუშავება/განადგურების მიზნით ასევე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

ზოგორც ზომოთ იქნა აღნიშნული, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება დამატებითი ტერიტორიების ათვისებასთან, მრავალწლოვანი ხე-მცენარეების მოჭრასთან და ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებასთან.

ავტოგასამართ სადგურში დასაქმდება 4 ადგილობრივი მოსახლეობა, რაც დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

პატივისცემით,

/შპს „ფუელ ინვესტმენტ"-ის დირექტორი /ალექსანდრე გეგეჭკორი/

Новая карта
Здесь можно добавить описание.
Обозначения
შპს „გურია ინვესტ ჯგუფი“
165მ
მდ. ნაბანები
შპს „ფუელ ინვესტმენტ“
X 552582.14
Y 4647674.35
400მ
62მ
37მ
არხი
225მ
დასახლება
290მ
ოზურგეთი-მელექედურის ავტოგზა
სურ.1-საწარმოს განთავსების ტოპორუკა
ბუნებრივი წყალსატევი
100 m
Google Earth
Image © 2022 Maxar Technologies

Новая карта
Здесь можно добавить описание.
Обозначения
2
X-251931,66
Y-4647075,43
1-ჩამდინარე წყლების არხში ჩაშვების ადგილი;
2-სადრენაჟო არხის მდინარე ნატანებთან შეერთების ადგილი
სადრენაჟო არხი
სალექარი
შპს „ფუელ ინვესტმენტ“
სურ.2-წყალჩაშვების წერტილები
1
X-252541,44
Y-4647690,73
Google Earth
Image © 2022 Maxar Technologies
N
100 m

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21108490, 02/11/2021 15:30:42

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ფუელ ინვესტმენტ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405490838
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	02/11/2021
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 25

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: constructioninvest1@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - ალექსანდრე გეგეჭკორი, 19001007050 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
ალექსანდრე გეგეჭკორი, 19001007050 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია/	10%	
ირაკლი გვილია, 19001026743	57%	
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეტალტექნიკა 2020, 437374002	33%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ი ჯ ა რ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ბათუმი

2022 წლის 26 იანვარი

ერთის მხრივ შპს „ბურია ინვესტ ჯგუფი„-ს, ს/კ 437074755, დირექტორი შოთა მიქელაძე, პ/ნ 61002001222, შემდგომში წოდებული როგორც "მეიჯარე" და მეორეს მხრივ შპს „სამი ძმა„-ს, ს/კ 437072383, დირექტორი ვახტანგ მარშანიშვილი, პ/ნ 26001007361, შემდგომში წოდებული როგორც "მოიჯარე", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ ქონებას (შემდგომში საიჯარო ქონება) ნავთობპროდუქტების გასამართი სადგურის მოწყობის მიზნით.

1.2. საიჯარო ქონებაში შედის: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მდებარე ოსურგეთის მუნიციპალიტეტის, ს. მელექედურში, მდ. ნატანების მიმდებარედ, საკადასტრო კოდი: 26.13.23.006 (ნაკვეთის საერთო ფართი- 32056 კვ.მ.)

1.3. საიჯარო ქონება არ არის დატვირთული იპოთეკით, ყადაღადადებული ან სხვა მხრივ უფლებრივად დატვირთული.

2. საიჯარო ქირა

2.1. საიჯარო ქონების სარგებლობისთვის საიჯარო ქირა ყოველთვიურად შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

2.2. საიჯარო ქირის გადახდის ათვლა იწარმოებს, 2022 წლის 01 თებერვლიდან, ნაღდი უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.3. მოიჯარეს შეუძლია რამდენიმე თვის ქირის წინასწარ გადახდა.

2.4. საიჯარო ქირის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3. მეიჯარის უფლება-მოვალეობანი

3.1. ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს საიჯარო ქონება;

3.2. საიჯარო ქონების მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრული ვადაში მოიჯარეს მოსთხოვოს საიჯარო ქონების აღდგენა, ხარვეზის ანახლაურება, ასევე უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა;

3.3. გაასხვისოს საიჯარო ქონება მოიჯარის თანხმობის გარეშე ასევე დროს, შემძენი დაიკავებს მეიჯარის ადგილს და იჯარის ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება დათქმული ვადის განმავლობაში.

3.4. არ ხელყოფს მოიჯარის საქმიანობაში და ეწინააღმდეგება მის ძიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლობა;

3.5. წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, ასევეთვე იჯარის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

4. მოიჯარის უფლება-მოვალეობანი:

4.1. მოიჯარეს უფლება აქვს საიჯარო ქონების სარგებლობით მიღებული შემოსავალი გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, როგორც მესაკუთრემ.

4.2. გამოიყენოს საიჯარო ქონება მისი დანიშნულებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მიიღოს ყველა ზომა საიჯარო ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის.

4.3. მეიჯარის თანხმობის გარეშე არ გადასცეს ქვეიჯარის უფლებით მესამე პირებს იჯარით აღებული ქონება;

4.4. მოიჯარე ვალდებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობა აწარმოოს უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მას;

4.5. აცნობოს მეიჯარეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საიჯარო ქონებაზე;

4.6. მეიჯარეს მისი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია;

5. საიჯარო ქონების გადაცემა:

5.1. საიჯარო ქონების გადაცემა ხორციელდება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები. აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს საიჯარო ქონების მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის;

5.2. საიჯარო ქონება მოიჯარეს გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

და მისი შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;

6.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა - 01 თებერვალი 2023 წელი;

6.3. მხარეები უფლებამოსილი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ნათქვამი სასურველი პერიოდით;

6.4. მხარეები უფლებამოსილნი არიან, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ვადაზე ადრე შეწყვიტონ მისი მოქმედება;

6.5. მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს საიჯარო ქონების დაგვიანებით ვადაძალებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

6.6. მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებათა გამო, რისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ აკისრება;

6.7. მეიჯარეს უფლება აქვს იჯარის ვადის გასვლამდე მოშალოს ხელშეკრულება თუ მოიჯარე:

ა. დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ქონებას;

ბ. არ იხდის ქირას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;

გ. ვანზრახ ან დაუდევრობით აუარესებს საიჯარო ქონების მდგომარეობას;

6. ხელშეკრულების სხვა პირობები:

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შერანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დაერთვება იმავე წესით, როგორც ეს ხელშეკრულება, და ერთვის მას როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

7.2. მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოებები მოწესრიგდება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს პირველივე ინსტანციის სასამართლო.

7.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა ორივე მხარისათვის.

8. მხარეთა ხელმოწერები:

მეიჯარე:	მოიჯარე:
შპს „[illegible] ჯგუფი"	შპს „სამი ძმა"
[illegible]37074755	სკ 437072383
[illegible] [illegible]ძიქელაძე	დირექტორი: [illegible]

GURIA INVEST GROUP
G.I.G
437074755

LTD "SAMI DZMA"
437072383

ᲘᲯᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ქ. ოზურგეთი 27 იანვარი 2022 წ.

ერთისმხრივ, შპს "სამი ძმა" (შემდგომში - "მეიჯარე") მისი დირექტორის ვახტანგ მარშაიშვილის სახით (პ/ნ 26001007361) და მეორეს მხრივ შპს „ფუელ ინვესტმენტი" (შემდგომში - "მოიჯარე") მისი დირექტორის ალექსანდრე ბეჟეჟკორის სახით (პ.ნ 19001007050) ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება და აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე ღებულობს დროებით სარგებლობაში წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ უძრავ ქონებას ნავთობ პროდუქტების გასამარილი სადგურის მოწყობის მიზნით. (შემდგომში "საიჯარო ქონება")

1.2 საიჯარო ქონება: არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 100 მ2 მიწის ნაკვეთი, მდებარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. მელექედურში დმ. ნატანების მიმდებარედ, საკადასტრო კოდი 26.13.23.006 (ნაკვეთის საერთო ფართი 32056 კვადრატული მეტრი).

1.3 საიჯარო ქონება მოიჯარეს გადაეცემა კომერციული საქმიანობის მიზნით.

2. ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

2.1 მეიჯარე უფლებამოსილია:

2.1.1 ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს საიჯარო ქონება;

2.1.2 მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების გაუარესების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოიჯარეს მოსთხოვოს საიჯარო ქონების აღდგენა, ზიანის ანაზღაურება, ასევე მოთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა;

2.2 მეიჯარე ვალდებულია:

2.2.1 გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვარგის მდგომარეობაში;

2.2.2 ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა სათანადო ხაბუთის მოღებაში, რისი საჭიროებაც მოიჯარეს წარმოეშობა იჯარით აღებული ქონების სარგებლობისას;

2.2.3 არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში და უზრუნველყოს მის მიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლობა;

2.3 მოიჯარე უფლებამოსილია:

2.3.1 საიჯაროს ქონების სარგებლობით მიღებული შემოსავალი გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, როგორც მესაკუთრემ;

2.3.2 მოახდინოს საიჯარო ქონების გაუმჯობესება;

2.3.3 აუცილებლობის შემთხვევაში საიჯარო ქონებას ჩაუტაროს მიმდინარე რემონტი (როგორც ინტერიერის ასევე ექსტერიერის ჩათვლით), მოაპირკეთოს საიჯარო ქონების მიმდებარე ტერიტორია და სარემონტო სამუშაოები, აღმართოს დამატებითი შენობა-ნაგებობანი. ამ პუნქტის მიზნებისათვის მოიჯარე უფლებამოსილია, იყოს მეიჯარის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ნებისმიერი ნებართვის და თანხმობის მისაღებად;

2.3.4 გასცეს საიჯარო ქონება ან მისი ნაწილი ქვეიჯარით მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.4 მოიჯარე ვალდებულია:

2.4.1 გამოიყენოს საიჯარო ქონება მისი დანიშნულებისა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

2.4.2 კეთილსინდისიერად ისარგებლოს საიჯარო უფლებით;

2.4.3 არ მოახდინოს საიჯარო ქონების ძირეული გადაკეთება მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;

2.4.4 მიიღოს ყველა ზომა საიჯარო ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის;

2.4.5 აცნობოს მეიჯარეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საიჯარო ქონებაზე;

2.4.6 გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

2.4.7 გადაიხადოს ყველანაირი კომუნალური და საყოფაცხოვრებო გადასახადი (დენის, წყლის, გაზის, ინტერნეტის, ტელევიზიის, ტელეფონის და სხვ.);

2.5 მეიჯარე პასუხს არ აგებს საიჯარო ქონების ისეთი ცვლილების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლზომიერი სარგებლობისით;

2.6 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

2.7 თითოეული მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კეთილისინდისიერი შესრულება და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

3. საიჯარო ქონების გადაცემის და დაბრუნების პირობები

3.1 საიჯარო ქონება მეიჯარესათვის გადაცემულად ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან;

3.2 ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე საიჯარო ქონება უნდა დაბრუნდეს მეიჯარეს;

3.3 საიჯარო ქონების დაბრუნება ხორციელდება ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას მეიჯარის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა და ფორმდება დაბრუნების აქტი.

4. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 მხარეთა შეთანხმებით ყოველთვიური საიჯარო ქირა საიჯარო ფართის სარგებლობისათვის შეადგენს 60 (სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

4.2 იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე ისარგებლებს წინამდებარე ხელშეკრულების „2.3.3" პუნქტით და გაიღებს ხარჯებს საიჯარო ქონების სარემონტოდ ან მის კეთილმოსაწყობად ან აღმართავს დამატებით შენობა-ნაგებობებს, რომელთა დემონტაჟი და გადატანა ქონების დაზიანების გარეშე შეუძლებელი იქნება, მეიჯარე უფლებამოსილია, მეიჯარეს მოსთხოვოს საიჯარო ქონებაზე გაწეული ხარჯების ურთიერთჩათვლა საიჯარო ქირის ანგარიშში, რაზედაც მხარეები დამატებით შეადგენენ წერილობით დოკუმენტს;

4.3 მხარეთა შეთანხმებით ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, ნაღდი ან უნაღდო ფორმით მეიჯარის მიერ მოწოდებული საბანკო რეკვიზიტების მიხედვით;

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 01.02.2023წ-მდე.

5.2 მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ურთიერთშეთანხმებით გააგრძელონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა მათთვის სასურველი პერიოდით.

5.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე წერილობითი ურთიერთშეთანხმებით;

5.4 მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოშლის სხვა საფუძვლები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6. დავები

6.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით;

6.2 შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დამატებითი დებულებები

7.1 წინამდებარე საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, რომელიც რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

7.2 ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში;

7.3 ყველა შეტყობინება ამ ხელშეკრულებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე ან ჩაბარდა ხელზე;

7.4 ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა;

7.5 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

[illegible]

[illegible]	[illegible]
შპს "სამი ძმა"	[illegible]
ს/კ 437072383	ს/კ 405490838
[illegible]	[illegible]